

ნარადგინა საკანონმდებლო
წინადადება



ჩართე უმაღლესი საბჭოს
საქმიანობაში კორტალზე:



chaerte.sca.ge

მისამართი:

ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N 37



ტელ: (+995 322) 28 54 48 / (+995 322) 28 54 89

contact@sca.ge



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭო

საკანონმდებლო
წინადადება



ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი



ეს პუბლიკაცია მომზადებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ, ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მხარდაჭერით და, შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს მათ შეხედულებებს.

რა არის საკანონმდებლო წინადადება?

საკანონმდებლო წინადადება არის დასაბუთებული მიმართვა უმაღლესი საბჭოსადმი ახალი კანონის მიღებაზე, კანონში ცვლილების შეტანაზე ან კანონის ძალდაკარგულად გამოცხადებაზე.

საკანონმდებლო წინადადება შეიძლება იყოს წარდგენილი მზა კანონპროექტის ან/და მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების სახით.

ვის აქვს წარდგენის უფლება?

- საქართველოს მოქალაქეებს
- სახელმწიფო ორგანოებს, გარდა აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული სუბიექტებისა
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს
- საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს
- სხვა იურიდიულ პირებს

რას უნდა შეიცავდეს წინადადება?



ავტორისეულ დასაბუთებას



კანონის მიღების ან ცვლილების საჭიროების არგუმენტებს



ავტორის საკონტაქტო ინფორმაციას
ტელეფონის ნომერი, მისამართი



ავტორის ხელმოწერას

რა ფორმით იგზავნება?

საკანონმდებლო წინადადების წარდგენა შესაძლებელია:

მატერიალური სახით მისამართზე:

ლ. ასათიანის 37, ქ. ბათუმი

ელექტრონულად მისამართზე: contact@sca.ge



რა ეტაპებს გადის საკანონმდებლო წინადადება საბჭოში?

1

საკანონმდებლო წინადადება წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს

2

ბიურო გადასცემს წამყვან კომიტეტს (საჭიროების შემთხვევაში სხვა კომიტეტებსაც), რომელიც საკანონმდებლო წინადადებას განიხილავს გადაცემიდან 30 დღის ვადაში

3

თუ საკანონმდებლო წინადადება სხვა კომიტეტსაც გადაეცა, იგი გადაცემიდან 20 დღის ვადაში წარუდგენს დასკვნას წამყვან კომიტეტს

4

კომიტეტის სხდომაზე საკანონმდებლო წინადადების განხილვისას შესაძლოა მოიწვიონ ავტორი

5

საკანონმდებლო წინადადება კომიტეტის მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება ჩაითვალოს მიღებულად ან უარყოფილად

6

თუ საკანონმდებლო წინადადება წარდგენილია მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების სახით და წამყვანმა კომიტეტმა მისაღებად ცნო იგი, კომიტეტი უმაღლესი საბჭოს ბიუროსთან შეთანხმებით, განსაზღვრულ ვადაში შეიმუშავებს კანონპროექტს და რეგლამენტით დადგენილი წესით გადასცემს ბიუროს.

კანონპროექტის დარეგისტრირების შემდეგ იწყება საკანონმდებლო პროცესი, რაც გულისხმობს მის განხილვას უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და პლენარულ სხდომაზე პირველი, მეორე და მესამე მოსმენებით

საკანონმდებლო წინადადების მიღების შემთხვევაში საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტად ითვლება წამყვანი კომიტეტი.